

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 8

ქ. გარდაბანი

17 ივნისი, 2022 წელი 12:30 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი:

სამირ ხიალოვი	ლევან ნიჟარაძე
ზაზა ონიანი	შახადატ მეხრალიევი
ვუგარ მამედოვი	ლია მეტერველი
სახმან მირზოვეი	კამრან ბაბაევი
რასიმ ისაევი	ლევან ზეგლარიშვილი
ბეთქილ კახიანი	აბდულალ იბრაგიმოვი
ისლამ მამედოვი	ზურაბ კორახაშვილი
გიორგი გურულიშვილი	რუსტამ ისაევი
დავით ებილაშვილი	მადონა გაბროშვილი
ზურაბ ბენდელიანი	ანარ მურადოვი
თამარ ხაჩიძე	მირზა მირზოვეი
ფლორა ასკაროვა	ტარიელ ჯანხოთელი
დავით ჭინჭარაული	ოთარ გავაშელიშვილი
თორნიკე ქავთარაძე	მაია შამედოვა
ლაშა ქართლოსიშვილი	ლალი კახურაშვილი
ეველინა ჩოხელი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის
ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი -
ნაია დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -
საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი -
დავით მერებაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე რანგის უფროსი სპეციალისტი -
მადონა ბუჭველაშვილი

დღის წესრიგი:

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დღის წესრიგი:

1. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: **მადონა ბუჭველაშვილი**
თანამომხსენებელი: **გიორგი გურულიშვილი**

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ადგილმონაცვლედ მეითხან მეითხანოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელი: **ზურაბ ბენდელიანი**

მუხლი 1

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

მუხლი 1

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეორე რანგის უფროსმა სპეციალისტმა - მადონა ბუჭველაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკითხი - **„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაცია, ასევე „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს N669 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების გამოცემა.

დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულის ეფექტური მუშაობის მიღწევის და სამსახურებრივი უფლებამოსილებების ოპტიმალური განხორციელების მიზნით, შემუშავებული იქნა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა - ანგარიშგების წესის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი, რომელიც ეხება:

ა) დადგენილებით უნდა დამტკიცდეს შემდეგი ფორმები:

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №1);
2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა (დანართი №2);
3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა (დანართი №3);
4. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/ოქმების ჩამოწერის აქტის ფორმა (დანართი №4);
5. მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის მითითებით გასატარებელი ღონისძიებების შემოწმების აქტის ფორმა (დანართი №5);
6. არქიტექტურული-სამშენებლო საქმიანობაზე დაჯარიმების შესახებ დადგენილების ფორმა (დანართი №6);
7. შეტყობინების ფორმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისადმი (დანართი №7);
8. გაფრთხილების ფორმა (დანართი №8);
9. დადგენილების ფორმა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (დანართი №9);
10. მიწერილობის ფორმა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევაზე (დანართი №10);

11. მიწერილობის ფორმა (დანართი №11);
12. მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის ფორმა (დანართი №12);
13. სააღსრულებლო ფურცლის ფორმა (დანართი №13);
14. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ფორმა (დანართი №14);
15. არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე გამოცხადების უწყების ფორმა (დანართი №15);

ბ) დადგენილების პროექტით განისაზღვრება საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლებამოსილი სამსახურები და ა(ა)იპ, კერძოდ:

„მუხლი 2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 51³, 53³, 55-ე, 55², 77¹, 77², 82⁵ (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119¹, 146¹, 148-ე, 150-ე, 150¹, 151-ე, 151², 152-ე, 152², 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებითა და საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიენიჭოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს“.

„მუხლი 3. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 196¹, 196³, 196⁶, 197, 197¹, 198 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლება მიენიჭოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს“.

„მუხლი 4. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 43¹-43² მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შევსებისა და გამოყენების უფლება მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრს“.

გ) დადგენილების პროექტში მე-5 მუხლის შესაბამისად განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დაბეჭდვის უზრუნველყოფა:

„მუხლი 5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისა და დამზადებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება“.

დ) დადგენილების პროექტის მე-6 მუხლის თანახმად ძალადაკარგულად ცხადდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N10 დადგენილება:

„მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, მშენებლობის ნებართვის ტიპური ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესისა და მშენებლობის ნებართვის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N10 დადგენილება (www.matsne.gov.ge; 25/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.161.016389)“.

დადგენილების პროექტი მომზადებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების ჩართულობით და აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე, გააზრებული და შეფასებულია სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია/მოვალეობები.

იმ შედეგების საფინანსო - ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის ცვლილება (გამოცემა):

დადგენილების პროექტის ცვლილება ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას-**„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 5

მიღებულია დადგენილია №26 **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვა-ანგარიშების წესისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისათვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ.**

საკითხი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ მეთხან მეთხანოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს საკითხი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ, მეთხან მეთხანოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.** მანვე განმარტა, რომ 2022 წლის 03 ივნისს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის №21/34 წერილი, თანდართული დოკუმენტით – №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №01/2022 განკარგულება - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკრებულოს გამოკლებული წევრის - გია ელიზბარაშვილის ადგილმონაცვლედ, მეთხან მეთხანოვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 ნაწილისა და “გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-13 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებიდან გამომდინარე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას, წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ, სამართლებრივი ხასიათის შენიშვნა არ გააჩნია. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა და №21 გარდაბნის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №01/2022 განკარგულება გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის - გია ელიზბარაშვილის ადგილმონაცვლედ, მეითხან მეითხანოვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას-გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ, მეითხან მეითხანოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №78 **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ, მეითხან მეითხანოვის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

